ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2022 წლის 5 დეკემბერი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. მედეა თათარიშვილი
5. ვლადიმერ ქანთარია
6. ლევან ლიპარტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 5 დეკემბრის N50-502233912 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 8, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 5 დეკემბრის N50-502233912 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 158.0 ათასი ლარით მუხლიდან „გადასახადები“ და განისაზღვრა - 21479,0 ათასი ლარით. გადასახდელები გაიზარდა 158,0 ათასი ლარით და განისაზღვრა - 25381,4ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 158,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 158,0 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „გადასახადები“ (მათ შორის: 158.0 ათასი ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადი), საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 12 დეკემბრის N04-03/109730 წერილი; შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 158,0 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 158,0 ათასი ლარი - ,,საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კულტურული, სპორტული, საგანმათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი“ ასიგნებაზე (საახალწლო და მიმდინარე წლის დასრულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საახალწლო ღონისძიების: კონცერტების; საშობაო ბაზრობების, გამოფენა-გაყიდვების, საბავშვო გასართობი სივრცეების, ფოტოგადასაღები ზონებისა და საახალწლო ინსტალაციების მოწყობის, თოვლის ბაბუასთან ბავშვების შეხვედრის ცერემონიის ჩატარებისა და ფოიერვერკის ღონისძიების ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს გადაწყვეტილებით წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, რომელიც ჩატარდება 2022 წლის 5 დეკემბერს 15^{00} სთ-ზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე